COVID19 ეპიდემიის შემაკავებელი ღონისძიებების ეტაპობრივი შესუსტება

COVID-19 უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ვირუსია რესპირატორულ ვირუსთა შორის. მისი გავრცელების კუთხით ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოწყვლად ჯგუფებს წარმოადგენენ დასაქმებულები სამუშაო ადგილებზე, დაკისრებული მოვალეობების შესრულების დროს, რადგან რიგ შემთხვევებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების სპეციფიკა არ იძლევა დადგენილი რეკომენდაციების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას. რეკომენდაციების შესრულების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოში, ვინაიდან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა წლების განმავლობაში რეგულირების მიღმა იყო. საკითხის დერეგულირების პოლიტიკამ კი გამოიწვია, რომ საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული იმგვარად, რომ სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო დირექტივებს **(მაგ. არ გვაქვს მიღებული ევროკავშირის დირექტივავა სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე 1989 წლის 89/654 დირექტივა, რომელიც სამუშოა ადგილებზე აწესებს მინიმალურ ჰიგიენურ წესებს, სამუშაო კვადრატულობას, სველი წერდილების რაოდენობას დასაქმებულებთან შეფარდებით და ა.შ**). შესაბამისად რთულია დასაქმებულთა სივრცული განაწილების, დისტანცირების, სხვა ინდივიდებთან კომუნიკაციის გზებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლი ეპიდემიის დროს, მაშინ, როდესაც ამ საკითხებთან მიმართებაში ეპიდემიის გავრცელებამდეც არსებობდა რიგი პრობლემები (იხ.შრომის ინსპექციის დასკვნები).

აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის შემქმნელებისთვის ზუსტად იყოს განმარტებული პანდემიის გავრცელების და შეჩერების ინსტრუმენტები, განსაკუთრებით მაშინ როცდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის ისეთ გადაუდებელ შემთხვევას როგორიცაა კორონავირუსის პანდემია.

ეპიდემიოლოგები გვთავაზობენ ციკლური სტრატეგიას, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობს COVID-19-ის გავრცელებაზე კონტროლის განხორციელების კუთხით - ეს არის სტრატეგია „ჩახშობა და მოხსნა.“ იგი გულისხმობს ზომების მოდუნებას, როდესაც შემთხვევების ზრდა საკმარისად დაეცემა, მაგრამ კვლავ გამკაცრება თუ ინფექცია კვლავ დაიწყებს გავრცელებას.

დღეს არსებული ეპიდსიტუაცია ასეთია:



ეკონომიკური აქტივობები ეტაპობრივი გახსნისთვის უნდა იყოს თანდათანობითი, რომ არ მოხდეს შემთხვევების სწრაფად მატება. მოცემული სტრატეგიის ძირითადი საფუძველია მაჩვენებელი Rt, ანუ რეალურ დროში ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებელი. საქართველოში Rt ამ მომენტისთვის დაახლოებით არის 1,09 რაც ახლოს არის მის დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელთან 1-თან, ვინაიდან ერთი არის კრიტიკული ბარიერი - ერთის ქვემოთ, ეპიდემია თანდათანობით ქრება, ხოლო ერთს ზემოთ ის იზრდება, შესაძლოა ექსპონენტურად.

შესაბამისად მნიშვნელოვანია რომ განხორციელდეს ამ მაჩვენებლის მუდმივი მონიტორინგი და მისი დაახლოება მოხდეს მისაღებ მაჩვენებელთან 1-თან, რათა მაქსიმალურად შევამციროთ ვირუსის გავრცელების ტემპი და არეალი.

ეკონომიკური აქტივობების განხორციელების შემთხვევაში ზომების მოდუნება და აქტივობების გააქტიურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ინფექციის გავრცელება ნაკლები ან არის 1-ის სიახლოვეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ მოხდეს ერთის ქვემოთ ან მის სიახლოვეს მაჩვენებელის შენარჩუნება, ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებაზე ნებართვის გაცემა თითოეულ კომპანიაზე უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, მოცემული სტრატეგიის გათვალისსინებით. წინააღმდეგ შემთვევაში მივიღებთ ვირუსის უკონტროლო გავრცელებას და შესაბამისად - **ღონისძიებების გამკაცრებას.**

მოცემული ანალიზის მიზანი:

ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობების ეტაპობრივი გახსნის შესაძლებლობის განხილვა

გახსნის ეტაპების ზოგადი პრინციპები:

- საჭიროა განისაზღვროს ეტაპობრივი გეგმა (2 - 6 საფეხურიანი)
- თითოეულ ეტაპს შორის უნდა იყოს 2 კვირიანი ინტერვალი ეპიდსიტუაციაზე დასაკვირვებლად და შემდგომი გახსნის სტრატეგიის დასაზუსტებლად
  - ეტაპებს შორის არ უნდა იყოს ინფიცირების მნიშვნელოვანი ზრდა (ეფუძნება გაფართოებულ დიაგნოსტიკას და შესაძლო ადრეულ ნიშნებს მაგ. 112-ში შემოსული ზარების მნიშვნელოვნად ზრდას;
  - ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს მის 75% (უფრო დაბალი რა-ბა ვიდრე მისი ზღვრული დონეა) რათა შესაძელბელი იყოს პაციენტების ადეკვატური და ხარისხიანი მართვა.
- დისტანცირების და დაცვის სხვა ზომების (სამუშაო ადგილზე ფიზიკური ბარიერები, ნიღბების მოხმარება, ა.შ.) მკაცრი დაცვა, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის სამინისტროს შრომის ინსაპექციის მიერ, ჯანმრთელობის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტთან კორდინაციით.

ობიექტების გახსნის პრინციპები:

ობიექტების გახსნის პრინციპი შეიძლება დაეფუძნოს 3 მიმართულებას:

1. საზედამხედველო ორგანოების მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგებს;
2. ეტაპობრივი სექტორული გახსნის შესაძლებლობას;
3. სექტორული გახსნის შესაძლებლობას საერთაშორისო პრაქტიკისა და სოციალური დისტანცირების დაცვის შესაძლებლობით.

პირველი მოდელი

დადებითი & უარყოფითი მხარეები

1. საზედამხედველო ორგანოების მიერ განხორციელებული ინსპექტირები

დადებითი	უარყოფითი	პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა
მხოლოდ საზედამხედველო ორგანოების (მაგ. შომის ინსპექცია) მიერ შემოწმებულ კომპანიებზე გაცემული სამუშაოების განხორციელების უფლების დადებითი მხარეა, რომ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენად შეუძლია თითოეულ კომპანიას ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვა. ამ შემთხვევაში მაქსიმალური სიზუსტით შეგვიძლია მოვახდინოთ ვირუსის გავრცელების პრევენცია და ტრაექტორიის განსაზღვრა	ამ მიმართულების უარყოფითი მხარეა, რომ ვერ ხერხდება დროის მოკლე პერიოდში კომპანიების დიდი ნაწილის შემოწმება	კომპანიების მაქსიმალური რაოდენობის შემოწმება შესაძლებელია დეცენტრალიზაციის გზით, ადგილობრივი მუნიციპალიეტტების საზედამხედველო ორგანოების აქტიური ჩართულობით, რომელთა კორდინაციის განხორციელებაც შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უკვე განხორციელებული შემოწმებების მონაცემები/სტატისტიკური ანალიზი

საზედამხევდელო უწყებების მიერ სულ შემოწმებულია 875 კომპანია შემდეგი სექტორული მიმართულებით:

- ✓ *გაზიფიცირების საქმიანობები*
- ✓ *ონლაინ საბითუმო და საცალო ვაჭრობა*
- ✓ *მშენებლობა*

- ✓ *ჰიდროელექტრო სადგურების საქმიანობა*
- ✓ *წარმოება*
- ✓ *მანქანების ტექნიკური მომსახურება*
- ✓ *საგამომცემლო საქმიანობა*
- ✓ *ტვირთის გადაზიდვის საქმიანობა*
- ✓ *ინერტული მასალების მოპოვება*
- ✓ *სანიაღვრე სამუშაოები*
- ✓ *ინფრასტრუქტურული პროექტები*

შემოწმების შედეგები წარმოდგენილია გრაფიკულად:





რაოდენობრივადშემოწმება განხორციელდა შემდეგ ეკონომიკურსაქმიანობებზე:

- გაზიფიცირების საქმიანობები - 13; აკმაყოფილებს- 6, არ აკმაყოფილებს - 7;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა - 57; აკმაყოფილებს- 35, არ აკმაყოფილებს - 22;
- მშენებლობა - 581; აკმაყოფილებს- 417, არ აკმაყოფილებს - 164;
- წარმოება- 23; აკმაყოფილებს- 21, არ აკმაყოფილებს - 2;
- მანქანების ტექნიკური მომსახურება - 6; აკმაყოფილებს- 4, არ აკმაყოფილებს - 2;
- გადაზიდვები - 5; აკმაყოფილებს- 5;
- მომსახურების საქმიანობები - 6; აკმაყოფილებს- 3, არ აკმაყოფილებს - 3;
- საგამომცემლო საქმიანობები - 4; აკმაყოფილებს- 4;

საქართველოშიი რეგისტრირებული სხვა ეკონომიკური საქმიანობების შესწავლა, რომელთაც სურს საქმიანობის ნებართვის მიღება, მიმდინარე ეტაპზე არ განხორციელებულა, შესაბამისად მათი ეტაპობრივი გახსნისთვის საჭიროა განხორციელდეს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის დეტალური შესწავლა ინსპექტირების გზით.

პირველი მოდელის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია უკვე შემოწმებული კომპანიებზე ნებართვების გაცემა გადამოწმების გარეშე.

მეორე მოდელი

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ეტაპობრივი სექტორული გახსნის შესაძლებლობა.

დადებითი	უარყოფითი	პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა
საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, დროის მოკლე	ამ პროცესის უარყოფითი მხარეა, ინფექციის გავრცელების მაღალი	უნდა განხორციელდეს სექტორების

პერიოდში ხდება სექტორული მიმართულებით ეკონომიკური საქმიანობების გახსნა, ინდივიდუალური შემოწმების გარეშე	და უკონტროლო რისკი, ვინაიდან არ მოხდება კომპანიების ინდივიდუალური შემოწმება, შესაბამისად შეუძლებელია იმის ვარაუდი, თუ რამდენად ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ხორციელდება ამა თუ იმ კომპანიის საქმიანობა და ხომ არ არის დასაქმებულების/მესამე პირების დაინფიცირების და ვირუსის უკონტროლოდ გავრცელების საფრთხე	კლასიფიცირება მათი საფრთხისა და რისკის დონის განსაზღვრის შესაბამისად

მესამე მოდელი

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და საქართველოს მისადაგებული მოდელი

საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებითა და სხვადასხვა ევროპული ქვეყნის კარგი პრაქტიკის მაგალითზე, შეიძლება შერჩეულ იქნეს ე.წ. შერეული მოდელი. ეს მოდელი დაეფუძნება ადგილობრივი პრაქტიკისა და საერთაშორისო სტატისტიკის (გამოცდილების) ანალიზს.

მოდელი გულისხმობს, რომ გარკვეული სტრატეგიის მეშვეობით, მოხდეს ეკონომიკური სუბიექტების ეტაპობრივი გახსნა, მათი ექსპოზიციის რისკის გათვალისწინებით, სოციალური დისტანციის დაცვითა და ეფექტური კონტროლის მექანიზმებით.

ანალიზი და პრიორიტეტულობა კომპანიების გახსნის პროცესში დაფუძნებულია კონკრეტული საქმიანობების შეზღუდვის საფუძველზე მიღებული სოციალური დისტანცირების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომელსაც ემატება ევროპული ქვეყნების წარმატებული გამოცდილება კომპანიების გახსნის პროცესში.

საქართველოში, სხვადასხვა სექტორებზე შეზღუდვების დაწესების გრაფიკული ანალიზი

გართობა/დასვენება და ვაჭრობა - კლება 74 % (ამ ჯგუფში შედის რესტორნები, კაფეები, სავაჭრო ცენტრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და კინოთეატრები)



სურსათის მაღაზიები და აფთიაქები - კლება 40% (ამ ჯგუფში შედის ბაზრობები, სურსათის მაღაზიები, სუპერმარკეტები და აფთიაქები)

პარკები - კლება 28% (ამ ჯგუფში შედის მუნიციპალური პარკები, ეროვნული ნაკრძალები და სხვა სივრცეები)



სატრანზიტო ჰაბები - კლება 64% (ამ ჯგუფში შედის მეტრო, ავტობუსები, მატარებლის სადგურები)



სამსახურები/ოფისები - სამსახურებში 73%-ით არის ადამიანთა ნაკადი შემცირებული



ზემოაღნიშნულ მონაცემებსა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეკონომიკური საქმიანობის/მეწარმე სუბიექტების საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება შესაძლებელია მოხდეს სოციალური დისტანცირების მაჩვენებლის გათვალისწინებით, პროცენტული განაწილების შესაბამისად. კერძოდ - რაც უფრო მაღალია პროცენტული მაჩვენებელი, სექტორის გახსნა უნდა განხორციელდეს დროის გრძელვადიან მონაკვეთში, ხოლო პროცენტული მაჩვენებელის დაბალი ნიშნულის შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობების გახსნისთვის პრიორიტეტების მინიჭება.

ამ მოდელით შესაძლებელია მოხდეს ეკონომიკის ეტაპობრივი გახსნა და ამავდროულად ვირუსის გავრცელების ნაკადების (მათ შორის კლასტერული) ეფექტური კონტროლი.

აღნიშნული სტრატეგიისა და ევროპული ქვეყნების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ეკონომიკური საქმიანობების გახსნის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ქვემოთ მოცემული პრინციპებისა და პრიორიტეტული გეგმა გრაფიკის გათვალისწინებით:

1. პირველ ეტაპზე იხსნება ის ობიექტები, სადაც შესაძლებელია კლიენტების მცირე რაოდენობით მომსახურება, მათი ნაკადების მართვა ან/და დისტანციურად მომსახურება;
2. შემდეგ ეტაპზე იხსნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, რომლებიც განთავსებულია ღია ადგილებში, სადაც შესაძლებელია ადამიანებს შორის რაოდენობისა და დისტანციის კონტროლი;
3. შემდეგ ეტაპზე იხსნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები დახურულ სივრცეში, ადამიანთა რაოდენობის კონტროლის გათვალისწინებით
4. ბოლოს იხსნება მასობრივი საზოგადოებრივი ღონისძიებები.

შენიშვნა:

1. თითოეულ ობიექტზე, კლასტერების შესამცირებლად დაშვებული უნდა იყოს არაუმეტეს 20 დასაქმებული;

2. ეკონომიკური საქმიანობების ეტაპობრივი გახსნის მიუხედავად, კომპანიებმა სამუშაო პროცესში მაქსიმალურად უნდა მოახდინონ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაცვა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს პერიოდული ზედამხედველობა რეკომენდაციების სავალდებულო შესრულებასთან დაკავშირებით.

ობიექტების გახსნის პერიოდულობა სექტორების მიხედვით

1
- მცირე კომერციული ადგილები (კლიენტთა რაოდენობის შეზღუდვით)
- ონლაინ ვაჭრობა

სექცია G - საბითუმო ვაჭრობა და საცალო ვაჭრობა;

2
- გეგმიური სტომატოლოგიური და ამბულატორიული მომსახურებები
- უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი/რეალიზაცია;
- საოფისე საქმიანობები, დასაქმებულთა რაოდენობის კონტროლით (არაუმეტეს 20 ადამიანი)

სექცია Q - ჯანდაცვა გეგმიური მომსახურებების ნაწილში;

სექცია A - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა;

სექცია K - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;

სექცია L - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;

3

- ინფრასტრუქტურული ობიექტები, მშენებლობები (არაუმეტეს 20 ადამიანი)
- ღია სავაჭრო ადგილები, ღია სივრცეში განთავსებული კვების ობიექტები,
- რეკრეაციული დანიშნულების ადგილები,
- ღია სპორტული არეალები

სექცია F - მშენებლობა ღია სივრცეში;

სექცია R - რეკრეაციული დაწესებულებები, სპორტის, დასვენების და გართობის სფეროსთან დაკავშირებული ღია სივრცეში განთავსებული საქმიანობები;

4

- წარმოების სექტორი,
- დახურულ სივრცეში განთავსებული კვების და სავაჭრო ობიექტები ადამიანთა რაოდენობის შეზღუდვით (ნაკადის კონტროლის გათვალისწინებით)
- განსაკუთრებული დანიშნულების სასწავლო დაწესებულებები
- სილამაზის სალონები

სექცია C დამამუშავებელი მრეწველობა;

5

- საზოგადოებრივი ტრანსპორტი,
- ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები,
- მასობრივი ღონისძიებები,
- ფიტნეს კლუბები (საცხოვრებელთან უახლოეს დისტანციაზე)
- სასწავლო დაწესებულებები

სექცია R - ხელოვნება, შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები, ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობები;

სექცია P - განათლება;

6

- საზოგადოებრივი ტრანსპორტი

სექცია H - ტრანსპორტი